

**შპს ნატს ინჟორფორეითიდ**

**ფინანსური ანგარიშგება**

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის*

# სარჩევი

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....3
- საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.....4-5
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....6-7
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....8-10

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020-2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა- ერთეული ლარი

|                                           | 31.12.2021         | 31.12.2020       |
|-------------------------------------------|--------------------|------------------|
| ნაღდი ფული სალაროში                       | 2,609              | -                |
| ფული ბანკში                               | 2,360              | 2,407            |
| სავაჭრო მოთხოვნები                        | 89,839             | 87,458           |
| თანამშრომლებზე გადახდილი ავანსები         | 236,504            | 121,054          |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები          |                    | 1,360,612        |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები            | -                  | -                |
| სხვა მცირე ფასიანი ინვენტარი              | 83,247             | -                |
| მასალა და ნედლეული                        | 232,223            | -                |
| წინასწარ გაწეული ხარჯები                  | 16,951             | -                |
| გაცემული სესხები                          | -                  | -                |
| გასაყიდად არსებული აქტივები               | -                  | -                |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>             | <b>663,732</b>     | <b>1,571,531</b> |
| ნაყოფის მომცემი კულტურები                 | 16,344,578         | -                |
| სასოფლო-სამეურნეო მანქანა დანადგარები     | 938,786            | 40,825           |
| მიწა                                      | 16,567,121         | 1,063,012        |
| შენობა-ნაგებობები                         | 683,563            | -                |
| ავიჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ტექნიკა | 260,522            | -                |
| სატრანსპორტო საშუალებები                  | 2,417,494          | 86,117           |
| მიმდინარე მშენებლობა                      | 174,110            | -                |
| იჯარით აღებული მიწა                       | -                  | -                |
| ცვეთა და ამორტიზაცია                      | (242,284)          | (3,557)          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>          | <b>37,143,891</b>  | <b>1,186,397</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                       | <b>37,807,623</b>  | <b>2,757,928</b> |
| სავაჭრო ვალდებულებები                     | 94,970             | 19,592           |
| საგადასახადო ვალდებულებები                | 318,259            | 40,672           |
| გადასახდელი ხელფასები                     | 73,881             | 3,170            |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     | <b>487,110</b>     | <b>63,434</b>    |
| გრძელვადიანი სესხები-ძირი (სბ)            | 36,335,421         | 1,860,426        |
| გრძელვადიანი სესხები-ძირი (სხვა)          | 5,417,331          | 559,971          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     | <b>41,752,752</b>  | <b>2,420,397</b> |
| საწესდებო კაპიტალი                        | 623,000            | 623,000          |
| გაუნაწილებელი მოგება                      | (5,055,240)        | (348,903)        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       | <b>(4,432,240)</b> | <b>274,097</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>      | <b>37,807,623</b>  | <b>2,757,928</b> |

# საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2020-2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა- ერთეული ლარი

|                                            |                                                   | 2021        | 2020      |
|--------------------------------------------|---------------------------------------------------|-------------|-----------|
| გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი             | თბილის მოსავალი                                   | 2,742,432   | -         |
| პერსონალის ხარჯები                         | ცვლადი ხელფასი                                    | (1,054,034) | -         |
| პერსონალის ხარჯები                         | ფიქსირებული ხელფასი                               | (1,192,596) | -         |
| სასოფლო-სამეურნეო ქიმიის დანახარჯები       | შხამ-ქიმიკატების ხარჯი                            | (1,400,152) | -         |
|                                            | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-პატრონობის ხარჯი | (135,519)   | (22,660)  |
| რემონტის ხარჯები                           | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დახარჯული საწვავი     | (474,808)   | (94,299)  |
| საწვავის ხარჯი                             | მცირეფასიანი ინვენტარი                            | (289,234)   | (7,669)   |
| სხვა მასალის ხარჯი                         | დაცვის ხარჯი                                      | (202,683)   | -         |
| სხვა საერთო ხარჯები                        | მელიორაციის ხარჯი                                 | (14,151)    | -         |
| მელიორაციის ხარჯი                          | ელექტრო ენერგიის ხარჯი                            | (49,692)    | -         |
| კომუნალური და ტელეკომუნიკაციის ხარჯები     | საიჯარო ხარჯები                                   | (7,300)     | -         |
| საიჯარო ხარჯები                            | ფიქსირებული ხელფასი                               | (940,252)   | (142,177) |
| პერსონალის ხარჯები                         | საპენსიო ხარჯი                                    | (79,167)    | (4,035)   |
| პერსონალის ხარჯები                         | ელექტრო ენერგიის ხარჯი                            | (5,227)     | -         |
| კომუნალური და ტელეკომუნიკაციის ხარჯები     | ბუნებრივი აირის ხარჯი                             | (981)       | -         |
| კომუნალური და ტელეკომუნიკაციის ხარჯები     | წყლის ხარჯი                                       | (66)        | -         |
| კომუნალური და ტელეკომუნიკაციის ხარჯები     | დასუფთავების ხარჯი                                | (3,421)     | -         |
| კომუნალური და ტელეკომუნიკაციის ხარჯები     | ინტერნეტი                                         | (777)       | -         |
| კომუნალური და ტელეკომუნიკაციის ხარჯები     | ტელეფონი                                          | (410)       | -         |
| რემონტის ხარჯები                           | შენობა - ნაგებობების რემონტი                      | (9,722)     | -         |
| სხვა მასალის ხარჯი                         | დამხმარე მასალების ხარჯები                        | (6,416)     | (125)     |
| ტრანსპორტირების ხარჯები                    | სატრანსპორტო საშუალებების შენახვის სხვა ხარჯი     | (1,125)     | -         |
| ტრანსპორტირების ხარჯები                    | სატრანსპორტო გადაზიდვების ხარჯი                   | (60,345)    | (6,549)   |
| საიჯარო ხარჯები                            | საიჯარო ხარჯები                                   | (123,870)   | -1875     |
| ოფისის და სამეურნეო ხარჯი                  | ოფისის და სამეურნეო ხარჯი                         | (23,383)    | (65)      |
| სხვა საერთო ხარჯები                        | კომპიუტერული ხარჯი                                | (72,097)    | (11,815)  |
| სხვა საერთო ხარჯები                        | იურიდიული მომსახურება                             | (25,475)    | -         |
| სხვა საერთო ხარჯები                        | დაცვის ხარჯი                                      | (1,247)     | -         |
| სხვა საერთო ხარჯები                        | პროგრამული მხარდაჭერის ხარჯი                      | (4,515)     | (3,842)   |
| მივლინების ხარჯები                         | მივლინების ხარჯები                                | (6,624)     | -         |
| რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები            | რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები                   | (1,786)     | -         |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                  | წარმომადგენლობითი ხარჯები                         | (5,808)     | -         |
| ბანკის მომსახურება და საკომისიო            | ბანკის მომსახურება და საკომისიო                   | (348,909)   | (8,543)   |
| ცვთა და ამორტიზაცია                        | ცვთა და ამორტიზაცია                               | (238,727)   | (3,557)   |
| საბაჟო მომსახურების ხარჯები                | საბაჟო მომსახურება                                | (8,654)     | (100)     |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები               | სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                      | (10,560)    | (324)     |
| სახელმწიფო გრანტი                          | სახელმწიფო გრანტი                                 | 453,284     | -         |
| შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული აქტივებიდან | შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული აქტივებიდან        | 437,006     | -         |
| ჯარიმები და საურავები                      | ჯარიმები და საურავები                             | (6,000)     | -         |
| შემოსავალი ვალდებულებების ჩამოწერა         | შემოსავალი ვალდებულებების ჩამოწერა                | 814         | -         |
| ფინანსური შემოსავლები                      | ფინანსური შემოსავლები                             | 669         | -         |
| ფინანსური ხარჯები                          | ფინანსური ხარჯები                                 | (1,308,931) | -         |

|                                           |                                           |                    |                  |
|-------------------------------------------|-------------------------------------------|--------------------|------------------|
| საკუროს სხვაობით გამოწვეული მოგება/ზარალი | საკუროს სხვაობით გამოწვეული მოგება/ზარალი | (92,841)           | (32,687)         |
| გადასახადები                              | გადასახადები                              | (152,493)          | (547)            |
| სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი          | სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი          | 19,454             | (8,033)          |
| <b>საერთო მოგება</b>                      | <b>საერთო მოგება</b>                      | <b>(2,077,737)</b> | <b>(124,628)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                  | <b>საოპერაციო მოგება</b>                  | <b>(4,057,299)</b> | <b>(307,636)</b> |
| <b>EBITDA</b>                             | <b>EBITDA</b>                             | <b>(3,818,572)</b> | <b>(304,079)</b> |
| <b>წმინდა მოგება</b>                      | <b>წმინდა მოგება</b>                      | <b>(4,706,337)</b> | <b>(348,903)</b> |

# ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა- ერთეული ლარი

|                                                 |                                               | 2021             |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|------------------|
| თხილის გაყიდვიდან მიღებული ფული                 | თხილის გაყიდვიდან მიღებული ფული               | 2,744,205        |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b> |                                               | <b>2,744,205</b> |
| საქვეანგარიშო თანხები                           | საქვეანგარიშო თანხები                         | (101,401)        |
| პერსონალის ხარჯები                              | პერსონალის ხარჯები                            | (3,428,945)      |
| შეწამვლის მომსახურების ხარჯი                    | შეწამვლის მომსახურების ხარჯი                  | (177,059)        |
| საირიგაციო მომსახურება                          | საირიგაციო მომსახურება                        | (4,010)          |
| მიწის დამუშავების ხარჯი                         | მიწის დამუშავების ხარჯი                       | (35,402)         |
| პესტიციდების ხარჯი                              | პესტიციდების ხარჯი                            | (1,446,350)      |
| სასუქის ხარჯი                                   | სასუქის ხარჯი                                 | (181,354)        |
| მცირეფასიანი ინვენტარი                          | მცირეფასიანი ინვენტარი                        | (188,186)        |
| სხვა დამხმარე მასალების ხარჯი                   | სხვა დამხმარე მასალების ხარჯი                 | (50,850)         |
| საწვავის ხარჯი                                  | საწვავის ხარჯი                                | (555,704)        |
| წყლის ხარჯი                                     | წყლის ხარჯი                                   | (78)             |
| ელექტროენერგიის ხარჯი                           | ელექტროენერგიის ხარჯი                         | (46,286)         |
| ბუნებრივი აირის ხარჯი                           | ბუნებრივი აირის ხარჯი                         | (1,157)          |
| დასუფთავების ხარჯი                              | დასუფთავების ხარჯი                            | (1,231)          |
| ტელეკომუნიკაციის ხარჯი                          | ტელეკომუნიკაციის ხარჯი                        | (1,176)          |
| ტრანსპორტირების ხარჯი                           | ტრანსპორტირების ხარჯი                         | (62,216)         |
| სატრანსპორტო საშუალებების შენახვის სხვა ხარჯი   | სატრანსპორტო საშუალებების შენახვის სხვა ხარჯი | (30,058)         |
| რემონტის ხარჯი                                  | რემონტის ხარჯი                                | (161,780)        |
| იჯარის ხარჯი                                    | იჯარის ხარჯი                                  | (136,755)        |
| ოფისის და სამუშაო ხარჯი                         | ოფისის და სამუშაო ხარჯი                       | (41,170)         |
| საკანცელარიო ხარჯი                              | საკანცელარიო ხარჯი                            | (6,048)          |
| დაცვის ხარჯი                                    | დაცვის ხარჯი                                  | (240,565)        |
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი                  | პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი                | (4,615)          |
| კომპიუტერული ხარჯი                              | კომპიუტერული ხარჯი                            | (6,260)          |
| სამივლინებო ხარჯი                               | სამივლინებო ხარჯი                             | (12,715)         |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                         | წარმომადგენლობითი ხარჯი                       | (4,385)          |
| იურიდიული მომსახურების ხარჯი                    | იურიდიული მომსახურების ხარჯი                  | (20,191)         |
| თანამშრომელთან სწავლების ხარჯი                  | თანამშრომელთან სწავლების ხარჯი                | (200)            |
| საკონსულტაციო ხარჯი                             | საკონსულტაციო ხარჯი                           | (54,313)         |
| ტენდერის და აუქციონის ხარჯი                     | ტენდერის და აუქციონის ხარჯი                   | 1,794            |
| სხვა მომსახურების ხარჯი                         | სხვა მომსახურების ხარჯი                       | (991)            |
| რეგისტრაციისა და ნოტარიუსის ხარჯი               | რეგისტრაციისა და ნოტარიუსის ხარჯი             | (7,252)          |
| ექსპერტიზის ხარჯი                               | ექსპერტიზის ხარჯი                             | (285)            |
| კომერციული ხარჯი                                | კომერციული ხარჯი                              | (10,297)         |
| ბანკის მომსახურება და საკომისიო                 | ბანკის მომსახურება და საკომისიო               | (361,573)        |
| ჯარიმები და საურავები                           | ჯარიმები და საურავები                         | (6,000)          |

|                                                   |                                              |                     |
|---------------------------------------------------|----------------------------------------------|---------------------|
| სხვა საოპერაციო ხარჯი                             | სხვა საოპერაციო ხარჯი                        | (7,379)             |
| საბაჟო მომსახურების ხარჯი                         | საბაჟო მომსახურების ხარჯი                    | (15,756)            |
| გადასახადები                                      | გადასახადები                                 | 44,794              |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   |                                              | <b>(7,363,406)</b>  |
| საპროცენტო შემოსავალი                             | საპროცენტო შემოსავალი                        | 669                 |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> |                                              | <b>669</b>          |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                    | ძირითადი საშუალებების შესყიდვა               | (33,735,187)        |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> |                                              | <b>(33,735,187)</b> |
| სახელმწიფო გრანტიდან მიღებული ფული                | სახელმწიფო გრანტიდან მიღებული ფული           | 453,284             |
| გრძელვადიანი სესხისგან მიღებული ფული (სბ)         | გრძელვადიანი სესხისგან მიღებული ფული (სბ)    | 40,161,043          |
| სხვა სესხებისგან მიღებული ფული                    | სხვა სესხებისგან მიღებული ფული               | 6,496,079           |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>    |                                              | <b>47,110,406</b>   |
| გრძელვადიანი სესხის დაფარვა (სბ) - ძირი           | გრძელვადიანი სესხის დაფარვა (სბ) - ძირი      | (5,359,004)         |
| გრძელვადიანი სესხის დაფარვა (სბ) - სარგებელი      | გრძელვადიანი სესხის დაფარვა (სბ) - სარგებელი | (1,308,014)         |
| სხვა სესხების დაფარვა - ძირი                      | სხვა სესხების დაფარვა - ძირი                 | (1,409,285)         |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>    |                                              | <b>(8,076,303)</b>  |
| <b>ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი</b>             |                                              | <b>2,407</b>        |
| სულ ფულადი სახსრების გადინება                     |                                              | (49,174,895)        |
| სულ ფულადი სახსრების შემოდინება                   |                                              | 49,855,279          |
| ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/კლება                |                                              | 680,384             |
| საქურსო სხვაობის ეფექტი                           |                                              | (677,823)           |
| <b>ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი</b>             |                                              | <b>4,969</b>        |

# ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## 1. ზოგადი ინფორმაცია

გაცნობებთ, რომ შპს ნათს ინქორპორირებული დაფუძნდა 2020 წლის 28 ივლისს და კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს შერეული სოფლის მეურნეობა, კერძოდ - მრავალწლიანი კულტურების მოყვანა (თხილი, ნუში). შპს ნათს ინქორპორირებული საქმიანობის ადგილი არის აღმოსავლეთ საქართველოში- გარდაბანი, სოფელი ახალსოფელი, სადაც კომპანია ფლობს 54,44 ჰა მიწას, ხოლო დასავლეთ საქართველოში- აბაშის, მარტვილის და სენაკის რაიონი, სადაც კომპანია ჯამში ფლობს 1 840,99 ჰა მიწას.

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ერთეულ ლარში.

## 3. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

## 4. მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვა. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიას 2020-2021 წლებში არ გაუცია გაუნაწილებელი მოგება დივიდენდის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

## 5. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
  - ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
  - ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
  - ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.
- ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
  - ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
  - ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
  - ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.
- ყველა დანარჩენი ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

## 6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

| ძირითადი საშუალებების დასახელება | სასარგებლო გამოყენების ვადა |
|----------------------------------|-----------------------------|
| შენობა-ნაგებობები                | 5%                          |
| მანქანა-დანადგარები              | 10%                         |
| სატრანსპორტო საშუალებები         | 20%                         |
| ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი  | 20%                         |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

## 7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება როგორც საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან, ასევე სალაროში არსებული ნაღდი ფულისგან.

## 8. სავაჭრო ვალდებულებები


სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში/ხარჯებში.

#### 9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია საშუალო შეწონილი. კომპანიის მიერ მიღებული მოსავლის აღიარება ხდება აღების მომენტში არსებული საბაზრო ფასით, რომლის გადახედვაც ხდება პერიოდულად. იმ შემთხვევაში თუ არსებობს მტკიცებულება საბაზრო ფასის ცვლილების, ხდება მარაგების გადაფასება.

\*შენიშვნა- 2021 წლის მონაცემების შევსებისას მოხდა ციფრულ ფორმებში 2020 წლის მონაცემების დაკორექტირება. კერძოდ , საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში გაყიდვების თვითღირებულების ხარჯი გაიზარდა 770 ლარით. ასევე დაკორექტირდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები და საგადასახადო ვალდებულებები. წმინდა ცვლილებამ შეადგინა 770 ლარი.

დირექტორი:



თორნიკე ლათათია

